ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 211

ქალაქი ქუთაისი 29 აგვისტო 2019 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურის ანგარიში 2019 წლის რვა თვეში გაწეული მუშაობის

შ ე ს ა ხ ე ბ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ მ/წლის 29 აგვისტოს, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 იანვრის №135 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურის ანგარიში 2019 წლის რვა თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24–ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის მე–3 მუხლის მე–4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

მუხლი 1. შეფასდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურის ანგარიში 2019 წლის რვა თვეში გაწეული მუშაობის შესახებ დამაკმაყოფილებლად.

(ანგარიში წინამდებარე განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2019 წლის 29 აგვისტოს
№ 211 განკარგულების დანართი

ა ნ გ ა რ ი შ ი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის –
საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურის ანგარიში
2019 წლის რვა თვეში გაწეული მუშაობის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახური (შემდგომ – საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახური) ახორციელებს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობ პროგრამებს. სამწუხაროდ, დღემდე ვერ მოხდა ამხანაგობების სათანადო განვითარება და ისინი მხოლოდ ამ პროგრამების მომხმარებლად რჩებიან. ხშირად ამ პრობლემების მიზეზებს რთულ ეკონომიკურ მდგომარეობასა თუ სოციალურ ფონში ვეძებთ, თუმცა, ძირითადი მაინც მენტალური პრობლემაა. მოსახლეობის დიდი ნაწილი ვერ გამოვიდა იმ განცდიდან, რომ ის, რაც მათ პირად საკუთრებაში არსებულ ბინას არ ეკუთვნის და კორპუსის საერთო საკუთრებაა (მაგალითად, ლიფტი, სადარბაზო, სახურავი, სარდაფი, ეზო და ა.შ.) მისი მოვლა–პატრონობა თავიანთ მოვალეობას არ წარმოადგენს.

საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა რამდენჯერმე წერილობით მიმართა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თავმჯდომარეებს, მოქმედი პროგრამების საშუალებით, მათ კორპუსებში არსებული საფრთხის შემცველი გარემოებების მოწესრიგების შესახებ. სამწუხაროდ, აქტივობაც და მათგან ამხანაგობის სხვა წევრების ინფორმირებულობაც უკიდურესად დაბალია, გარდა იმ პროგრამებისა, რომელთა თანადაფინანსებაშიც მათი წილი ნულის ტოლია (სადარბაზოებისა და ეზოების კეთილმოწყობა). ამიტომ, გადაწყდა აქტიური საინფორმაციო კამპანია წარმართულიყო ამ მიმართულებით, რადგან, ნებისმიერი პასიურობა, გულგრილობა და უპასუხისმგებლობა თითოეული თანამშრომლის, ან თუნდაც მოქალაქის მხრიდან, შეიძლება სავალალო შედეგით დასრულდეს.

საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურის შემადგენლობაში შედის 12 ადმინისტრაციული ერთეული, რომლებიც უშუალო კავშირში არიან მოსახლეობასთან და კონტაქტი ხორციელდება როგორც უშუალო ყოველდღიურ რეჟიმში, ასევე, სოციალური ქსელით (საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურსა და ყველა ადმინისტრაციულ ერთეულს აქვს ფეისბუქგვერდი), სადაც მოსახლეობას სახლიდან გაუსვლელად შეუძლია დააფიქსიროს რომელიმე პროგრამის განხორციელების აუცილებლობა.

საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახური, 2019 წელს, 13 პროგრამის ფარგლებში ახორციელებს 2 746 454 ლარის (778 534 ლარი რ.გ.პ.ფ.–ს მიერ გამოყოფილი თანხა) დაგეგმილი ღონისძიებების მიმდინარეობის მონიტორინგსა და ინსპექტირებას, მიმდინარე და დაგეგმილი სამუშაოების პროექტებთან შესაბამისობის კუთხით. უზრუნველყოფს შესრულებულ სამუშაოთა ანაზღაურებისათვის, მის კომპეტენციას მიკუთვნებულ ფარგლებში, აუცილებელი პროცედურების გატარებას.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 აპრილის N103 დადგენილებით ცვლილებები შევიდა „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამა „კორპუსის“ განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესისა და პროგრამა „კორპუსით“ განსაზღვრული ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 თებერვლის №41 დადგენილებაში.

აღნიშნული დადგენილება და საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურის მიერ განსახორციელებელი პროგრამების ჩამონათვალი დაურიგდა ყველა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარეს მოსახლეობისათვის გასაცნობად.

პროგრამების ბიუჯეტის გაანგარიშება განხორციელდა 2018 წლის ბოლოსა და 2019 წლის დასაწყისში ადმინისტრაციული ერთეულებიდან და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებიდან მიღებული განცხადებების შესაბამისად.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამებიდან 2 პროგრამა: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის სხვადასხვა სახეობის გადასახური მასალის გადაცემა და საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების შესასვლელი კარებების, ფანჯრების, რკინა–ბეტონის კონსტრუქციებისა და ამორტიზირებული ხის კიბეების კონსტრუქციის რეაბილიტაცია, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მიერ სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში ბიუჯეტიდან ფინანსდება 100%–ით.

ასევე, 100%–ით ფინანსდება პროგრამებით განსაზღვრული 5 ღონისძიება. სხვა დანარჩენი პროგრამები და ღონისძიებები ხორციელდება მერიისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების წილობრივი დაფინანსებით 90/10–ზე, და 80/20–ზე.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამებით განსაზღვრული ღონისძიებების მიხედვით განხორციელებულია შემდეგი ღონისძიებები:

1. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა (დაფინანსება 100%–ით თვითმმართველობა):

პროგრამის დაფინანსების წილობრივი მაჩვენებელი მიმდინარე წელს შეიცვალა 95/5%–ით, ამასთან, საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვას განახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია. მოსახლეობის მიერ გასულ წლებში წარმოდგენილი სრულყოფილი განაცხადები დაფინანსდა 100%–ით მიმდინარე წლის დასაწყისში არსებული საბიუჯეტო ლიმიტის ფარგლებში.

პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 495 129 ლარს.

სამუშაოები დაიყო 4 ეტაპად. პირველ ეტაპზე გამოცხადდა ტენდერი 215000 ლარზე, გამარჯვებული კომპანია შპს „მიმდემი“ ახორციელებს 214989,25 ლარის ღირებულების სამუშაოებს 16 ობიექტზე. დღეისათვის დასრულებულია 16 ობიექტი, 184 531,22 ლარის ღირებულებით.

მეორე ეტაპზე გამოცხადდა ტენდერი 210 000 ლარზე, გამარჯვებული კომპანიაა შპს „გი–ან 2011“, სახელშეკრულებო ღირებულება – 199 999 ლარი. დღეისათვის დასრულებულია 11–ვე ობიექტი. მთლიანად ხელშეკრულების ფარგლებში ანაზღაურებული თანხა შეადგენს 179917.94 ლარს.

მესამე ეტაპზე გამოცხადდა ტენდერი 73 800 ლარზე, გამარჯვებული კომპანიაა შპს „ნიუ–იბერია“, სახელშეკრულებო ღირებულება – 64 651,68 ლარი. დასრულებულია 5–ვე ობიექტი. მთლიანად ხელშეკრულების ფარგლებში ანაზღაურებული თანხა შეადგენს 58661,86 ლარს.

აღნიშნული ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიით დამატებით გამოცხადდა ტენდერი 1 ეზოს კეთილმოსაწყობად. შპს „არეა–მ“–ის მიერ დასრულებულია 14786,51 ლარის ღირებულების სამუშაოები.

ასევე, დასრულდა 2018 წელს გაფორმებული სამი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ეზოების (ჯამში 55 ეზო) კეთილმოწყობის სამუშაოები – ჯამური ღირებულებით 799510,16 ლარი.

2. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების რეაბილიტაცია (დაფინანსება: 100% თვითმმართველობა):

პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 283 405 ლარს.

სამუშაოები დაიყო 2 ეტაპად. პირველ ეტაპზე გამოცხადდა ტენდერი 159466 ლარზე, გამარჯვებული კომპანია – შპს „თბომშენი“ ახორციელებს 17 მრავალბინიანი სახლის 39 სადარბაზოს რეაბილიტაციას, სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს – 155628,00 ლარს. სამუშაოები დასრულებულია.

მეორე ეტაპზე გამოცხადდა ტენდერი 138070 ლარზე, გამარჯვებული კომპანია – შპს „მეკა“ ახორციელებს 19 მრავალბინიანი სახლის 40 სადარბაზოს რეაბილიტაციას, სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს – 127776,35 ლარს. სამუშაოების დასრულების ბოლო ვადაა 10 სექტემბერი.

ასევე, დასრულდა 2018 წელს გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული 47 საცხოვრებელი სახლის 95 სადარბაზოს რეაბილიტაცია ჯამური ღირებულებით – 215506,20 ლარი.

3. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების დაზიანებული კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია (დაფინანსება: 90% თვითმმართველობა, 10% ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა):

პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 50 000 ლარს.

აღნიშნული მიმართულებით გამოცხადდა 47286 ლარის ღირებულების ტენდერი, გამარჯვებულმა კომპანიამ შპს „საბა+“–მ განახორციელა 29019,49 ლარის ღირებულების 15 ობიექტის რეაბილიტაცია. ეკონომიამ შეადგინა 20980,51 ლარი. აღნიშნული ეკონომიის ფარგლებში კვლავ გამოცხადდება ტენდერი მოსახლეობის მხრიდან.

4. სხვადასხვა სახეობის გადასახური მასალის შეძენა, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის გადასაცემად (დაფინანსება: 100% თვითმმართველობა):

პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 215000 ლარს, აქედან 15000 ლარი – საბანკო გარანტიის მომსახურებაა.

ტენდერში გამარჯვებული კომპანიის შპს „ჯი–არ სი“–საგან შესყიდულ იქნა 192805,75 ლარის 23400 მ^2 გადასახური მასალა, მათ შორის, ჰიდროსაიზოლაციო მასალა – 14000 მ^2; გოფრირებული თუნუქი – 8500 მ^2; ფურცლოვანი თუნუქი – 900 მ^2. დღეის მდგომარეობით, გადასახური მასალა გადაეცა 62 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას. ამ დროისათვის მასალის 95% გაცემულია არსებული წესის შესაბამისად, საბანკო გარანტიის საფუძველზე.

5. ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით თავისუფალი ინიციატივების განხორციელება (დაფინანსება: 100% თვითმმართველობა):

პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 57 000 ლარს.

აღნიშნული პროგრამა ძირითადად ითვალისწინებს ადმინისტრაციული ერთეულებიდან წარმოდგენილი წინადადებების დაფინასებას, რომელიც იმ უბნის მოსახლეობისათვის პრობლემურია და მისი გადაწყვეტა რომელიმე საქალაქო პროგრამით შეუძლებელია. მ/წელს აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა 4 ინიციატივა: წერეთლის ქუჩის N179–სა და N181–ს შორის დეპოს ქუჩამდე არსებული საფეხმავლო ბილიკის, ბალანჩივაძისა და დეპოს ქუჩების კვეთაზე, გაპონოვის ქუჩის N55–თან და ჯავახიშვილის ქუჩის N10–თან არსებული კიბეების რეაბილიტაცია.

გამოცხადდა 32194 ლარის ღირებულების ტენდერი. გამარჯვებული კომპანია შპს „მშენებელი 2018“–ის მიერ დასრულებულია ზემოაღნიშნული 4 ობიექტის რეაბილიტაცია, თანხით – 31447,44 ლარი.

ქალაქ ქუთაისში, გუგუნავას ქუჩის N9–ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაციისათვის საჭირო მასალების შესყიდვისა და მიწოდებისათვის გამოცხადებულია ტენდერი 6 723 ლარზე, ტენდერის დასრულების ბოლო ვადაა 21.08.2019 წელი.

6. სკეიტპარკის მოედნის დაზიანებული შემოღობვის რეაბილიტაცია:

სკეიტპარკის მოედნის დაზიანებული შემოღობვის აღსადგენად (თაბუკაშვილის ქუჩა №2, მოსწავლე–ახალგაზრდობის პარკი) გამოცხადდა 13957,00 ლარის ღირებულების ტენდერი, გამარჯვებულმა კომპანია შპს „არეა-მ"–მა დაასრულა 12106,80 ლარის ღირებულების სამუშაოები.

7. სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის საცხოვრებელი სახლების ავარიული სახურავების რეაბილიტაცია (დაფინანსება: 100% თვითმმართველობა):

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 46 ავარიული სახლის რეაბილიტაცია და ტენდერზე წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე განხორციელდება დამატებით 3 სახლის რეაბილიტაცია. სულ 49 სახლი სახელშეკრულებო ღირებულებით 438 000 ლარი. მათ შორის 2018 წელს დადებული 3 ხელშეკრულება დასრულდა 2019 წელს, რომლითაც განხორციელდა 14 სახლის გადახურვა, სახელშეკრულებო ღირებულებით – 222 000 ლარი. ხოლო, 2019 წელს გამოცხადდა 3 ტენდერი, სახელშეკრულებო ღირებულებით – 216 000 ლარი, სულ 24 სახლი.

8. სხვადასხვა სახეობის სპორტულ – გამაჯანსაღებელი და დასასვენებლად განკუთვნილი ობიექტების მოწყობა – რეაბილიტაცია – ექსპლოატაცია:

ა) საპარკე ძელსკამების შეძენა–მონტაჟი საჯარო სივრცეებისთვის:

პროგრამის ფარგლებში გამარჯვებულმა კომპანიამ შპს „ლიკო–1"–მა განახორციელა 68950 ლარის ღირებულების 214 ძელსკამის შეძენა–მონტაჟი საჯარო სივრცეებისათვის. გამოცხადებულია 49630 ლარის ღირებულების ტენდერი 128 ძელსკამზე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისთვის თანადაფინანსების გათვალისწინებით.

ბ) საბავშვო ატრაქციონებისა და სპორტული „ტრენაჟორების" მოწყობა:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 31 ივლისის №110 დადგენილებით განხორციელდა ცვლილებები ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, რომლის ფარგლებში დამატებით გამოიყო 117 000 ლარი საბავშვო ატრაქციონებისა და სპორტული „ტრენაჟორების" მოწყობისათვის. აღნიშნულის გათვალისწინებით გამოცხადდა ტენდერები 78 000 ლარზე 4 კომპლექტი სპორტული „ტრენაჟორის" მოწყობისათვის და 17 000 ლარზე 2 კომპლექტი საბავშვო ატრაქციონის მოწყობისთვის.

თანადაფინანსების პრინციპის გათვალისწინებით ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობისთვის გამოცხადებულია ტენდერი 24 000 ლარზე 4 კომპლექტი საბავშვო ატრაქციონის შეძენა–მონტაჟისთვის.

თანადაფინანსების პრინციპით მოეწყობა 2 ერთეული ფანჩატური 13 687 ლარის ღირებულებით.

9. გუგუნავას ქუჩის N12 საცხოვრებელი ბინის ხანძრით დაზიანებული სახურავის რეაბილიტაცია:

მერის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრებიდან (მერის ბრძანება N780, 28/03/2019) განხორციელდა შპს „ამრ"–ის მიერ, ხანძრის შედეგად დაზიანებული სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით 36794,03 ლარი. აღნიშნულ საცხოვრებელი კორპუსის მოსახლეობის სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის ჭერისა და იატაკის შესაკეთებლად საჭიროა სამშენებლო მასალების შესყიდვა და გადაცემა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობისათვის.

გუგუნავას ქუჩის N12 საცხოვრებელი ბინის ხანძრით დაზარალებული 7 ოჯახიდან 5 ოჯახი გაყვანილ იქნა ქირით და 8 (რვა) თვის მანძილზე ქირის ანაზღაურებამ შეადგინა –8440 ლარი, ხოლო ორი ოჯახი შესახლებულია სოციალურ საცხოვრისში.

10. სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო პროგრამა:

2018 წლის ბოლოს განვითარებული სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის N2367 განკარგულებით გამოყოფილი სახსრების ფარგლებში დაიდო 11 ხელშეკრულება. აქედან, 10 ხელშეკრულების დასრულება და ანაზღაურება მოხდა 2019 წლის დასაწყისში. სულ ღირებულებით – 694 071 ლარი. გადახურვის სამუშაოები შესრულდა 83 საცხოვრებელ ბინაზე – ღირებულებით 541 429 ლარი. 153 კერძო სახლს და 57 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებს გადაეცათ გადასახური მასალა – ღირებულებით 143040.1 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 25 აპრილის N986 განკარგულებით, 2019 წლის 31 მარტსა და 1 აპრილს განვითარებული სტიქიის შედეგების აღმოსაფხვრელად გამოიყო – 160000 ლარი. გამოყოფილი სახსრების ფარგლებში მოხდა გადასახური მასალის შეძენა, მათ შორის, 2500 $მ^2$ ჰიდროსაიზოლაციო მასალა და 200 $მ^2$ გოფრირებული თუნუქი. განხორციელდა პეტრიწის ქუჩის მე–2 შესახვევის N9 და ძნელაძის ქუჩის მე–2 შესახვევის N7 საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია, ასევე, დროებითი გადახურვისთვის შესყიდულ იქნა ე.წ. ბრეზენტი. აღნიშნული ღონისძიებების მთლიანმა ღირებულებამ შეადგინა – 33 727,23 ლარი. სტიქიის შედეგად დაზიანებული ბრტყელსახურავიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავის გადახურვის მიზნით გამოცხადდა ტენდერი – 74736 ლარზე, რომელიც დასრულდა უარყოფითი შედეგით, რადგან გამოვლენილმა პრეტედენტმა უარი განაცხადა ხელშეკრულების დადებაზე. აღნიშნული ტენდერი გამოცხადდა განმეორებით.

11. საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა:

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გამოცხადდა 2000 ლარის ღირებულების ტენდერი მიმდინარე წლის მარტში განვითარებული ძლიერი ქარის შედეგად დაზიანებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისთვის დაზიანებული სახურავების აღდგენისთვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე. გამარჯვებული კომპანიაა შპს „ნგ ჯგუფი“. შესყიდულია 1880 ლარის ღირებულების დოკუმენტაცია 9 ობიექტისთვის.

შპს „Modern Architectural Group“–ისგან შესყიდულ იქნა საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, 10 სპორტული მოედნის მოწყობა–რეაბილიტაციისათვის, საერთო ღირებულებით – 14 140.54 ლარი.

12. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ლიფტების რეაბილიტაცია:

აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში გაგზავნილია მოთხოვნა 97000 ლარის რეგიონული განვითარების ფონდიდან გამოყოფისათვის. აღნიშნული თანხის დამტკიცების შემთხვევაში მიმდინარე წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდება 9 სამგზავრო ლიფტს.

13. მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მოწყობა–რეაბილიტაცია:

აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში გაგზავნილია მოთხოვნა, რეგიონული განვითარების ფონდიდან თანხის გამოყოფისათვის 22 სპორტული მოედნის მოწყობა – რეაბილიტაციისათვის – ღირებულებით 1 022 000 ლარი.

პირველ ეტაპზე იგეგმება 12 სტადიონის რეაბილიტაცია – ღირებულებით 543 798 ლარი.

14. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების წყალსაწრეტი მილებისა და პარაპეტების რეაბილიტაცია:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 31 ივლისის №110 დადგენილებით განხორციელდა ცვლილებები ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, რომლის ფარგლებში, დამატებით გამოიყო 28000 ლარი. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის მხრიდან ტექნიკური დოკუმენტაციის დროულად წარმოდგენის შემთხვევაში, თანადაფინანსების პრინციპით მოხდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების წყალსაწრეტი მილებისა და პარაპეტების რეაბილიტაცია.

15. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სარდაფებში დამდგარი წყლის ამოტუმბვის სამუშაოები:

აღნიშნული პროგრამა მიმდინარე წელს ხორციელდება საპილოტედ, რომლის ფარგლებში გამოცხადდა ტენდერი ფეკალური ტუმბოების შესასყიდად, შემდგომში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისთვის გადაცემის მიზნით. აღნიშნული ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ბაზრის დეტალური მოკვლევა, რათა კვლავ გამოცხადდეს ტენდერი. აღნიშნული პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს – 150 000 ლარს.

საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახური გარდა ინფრასტრუქტურული პროექტებისა, ასევე ახორციელებს და ორგანიზებას უწევს სხვადასხვა სოციალურ პროგრამებს. კერძოდ:

საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახური კურირებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის დაქვემდებარებულ სოციალურ საცხოვრისს, რომელშიც ცხოვრობს 75 ოჯახი. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებით, 2018 წლის დეკემბრიდან 2019 წლის მარტის ჩათვლით, მოხდა ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება, ჯამში ოთხი თვის თანხამ შეადგინა – 9435,0 ლარი. სოციალური საცხოვრისის ორი ბენეფიციარი დაიკრძალა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ.

სხვადასხვა დროს ქალაქის ტერიტორიაზე მომხდარი ხანძრების შედეგად დაზარალებულ ოჯახებისათვის სამსახურის მიერ მოძიებულ იქნა გასაქირავებელი თავისუფალი ფართები, მათი განსახლების მიზნით. კერძოდ, ავტომშენებლის ქუჩის N14–ში ხანძრით დაზარალებული ორი ოჯახის ერთი თვის ფართის ქირამ შეადგინა – 432 ლარი.

საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურისა და ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით 8 თვის განმავლობაში შემოსული, პირადი ინიცირებით გაგზავნილი კორესპონდენციების, გაცემული ცნობებისა და მოწმობების შესახებ საერთო სტატისტიკა ასეთია:

საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურში შემოვიდა 3270 მოქალაქის განცხადება და სხვადასხვა ორგანიზაციების კორესპონდენცია. სამსახურის ინიცირებით გაიგზავნა 3900 მიმართვა. სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის საკითხებთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ ერთეულებში შემოვიდა 120 განცხადება და შედეგების შესახებ ეცნობა იუსტიციის სახლს. პირის გარდაცვალების ფაქტის დადგენის შესახებ ადმინისტრაციულ ერთეულებში შემოვიდა 26 განცხადება და მომზადდა შესაბამისი აქტები. ადმინისტრაციულ ერთეულებში უშუალოდ მერის წარმომადგენლის სახელზე შემოვიდა 2013 განცხადება. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირის ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის მიერ შესწავლილ იქნა 102 განცხადება და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მოქალაქეობისა და მიგრაციის სამსახურის 8 მომართვა. მომზადდა კომისიის სხდომის 30 ოქმი, გამოიცა 110 განკარგულება და გაიცა შესაბამისი ცნობები. 4 შემთხვევაში არ დადასტურდა მოქალაქის ცხოვრების ფაქტი. „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსრაგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის

დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის N189 დადგენილების შესაბამისად გაიცა 35 საკუთრების მოწმობა.

შენიშვნა: წინამდებარე ანგარიში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 23–ე სხდომაზე, 2019 წლის 29 აგვისტოს, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურის ხელმძღვანელმა, ჯონი არაბიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია